სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 071
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272401

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, I კორპუსი, V სართული, დეკანატი–ოთახი №97
ტელ.: 0350 23 36 71; E-mail: soc.faculty@tesau.edu.ge

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ჟურნალისტიკა |
| აკადემიური განათლების საფეხური | ბაკალავრიატი (I საფეხური) |
| საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი | ძირითადი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ჟურნალისტიკის ბაკალავრი (Bachelor in Journalism) |
| სწავლის ხანგრძლივობა | ოთხი აკადემიური წელი (რვა სემესტრი) |
| ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა | 240 ECTS კრედიტი |
| პროგრამის ხელმძღვანელი | ლაურა კუტუბიძე, ჟურნალისტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი<br><br>(599) 217.901; (571) 96.96.01; ელ.ფოსტა: ku.laura@laposte.net |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები | პროგრამის მიზანია თანამედროვე საინფორმაციო სივრცისა და სოციუმის სპეციფიკის მცოდნე, ლიბერალური ღირებულებების შესაბამისი პროფესიული ცოდნით აღჭურვილი, პრაქტიკული ჟურნალისტიკის საფუძვლების მცოდნე და საწყისი პროფესიული უნარ–ჩვევების მქონე ჟურნალისტური კადრის მომზადება.<br><br>საბაკალავრო პროგრამა ჟურნალისტიკის სპეციალობით უზრუნველყოფს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაზისო ცოდნას, ჟურნალისტიკის კლასიკური და უახლესი გამოცდილების ათვისებას, თანამედროვე საქართველოს საინფორმაციო სივრცის შესწავლას, პროფესიული და ეთიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, პრაქტიკულ მომზადებას.<br><br>ერთი მხრივ, საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული საგნების ათვისება და, მეორე მხრივ, პრაქტიკული ჟურნალისტიკის გაძლიერებული სწავლება, ბაკალავრებს საშუალებას აძლევს გამოიმუშაონ საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციის უნარი, ოპერატიული მასალების, თემების, საინფორმაციო საბაბების მოპოვება-დამუშავებისა და გადამოწმების ჩვევა, მოვლენებისადმი პუბლიცისტური დამოკიდებულება, მათი ანალიზის უნარი. |

ჟურნალისტიკისა და მასმედიის თანამედროვე ხედვის, საინფორმაციო საზოგადოების არსის, მასმედიის ზემოქმედების ცოდნა, საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლების, მედიასამართლისა და მედიამენეჯმენტის შესწავლა მომავალ ჟურნალისტებს უყალიბებს სოციალურ და სამოქალაქო პოზიციას, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისა და გამოხატვის მოტივაციას, პროფესიულ და პიროვნულ პასუხისმგებლობას.

პროგრამის მიზანია თანამედროვე საინფორმაციო სივრცისა და სოციუმის სპეციფიკის მცოდნე, ლიბერალური ღირებულებების შესაბამისი პროფესიული ცოდნით აღჭურვილი, პრაქტიკული ჟურნალისტიკის საფუძვლების მცოდნე და საწყისი პროფესიული უნარ–ჩვევების მქონე ჟურნალისტური კადრის მომზადება.

თეორიული და პრაქტიკული კურსის სინთეზი ბაკალავრებს აძლევს არა განყენებულ ცოდნას, არამედ, სასტარტო მდგომარეობას მედია პროდუქციის შესაქმნელად, კონკურენტულ გარემოში დასამკვიდრებლად.

საბაკალავრო პროგრამა მომავალ ჟურნალისტებს თეორიულად და პრაქტიკულად გააცნობს და შეასწავლის პროფესიის საფუძვლებს, პროფესიულ სტანდარტებს: ბეჭდური, სამაუწყებლო და ონლაინ მედიის პროდუქციის პერმანენტული ანალიზის; ჟურნალისტური სტუდიის, სასწავლო რადიოსადგურის; ცნობილ ჟურნალისტთა მასტერკლასების; პრეზენტაციებისა და პრესკონფერენციების; მედიაორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობის; მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სასწავლო პრაქტიკის; ჟურნალისტური საქმიანობისათვის აუცილებელი ტექნიკის (ციფრული ვიდეოკამერა, ფოტოაპარატი, დიქტოფონი) ათვისების მეშვეობით.

| | | | |
|---|---|---|---|
| **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები** | **ცოდნა და გაცნობიერება** | ✓აქვს ზოგადი პროფესიული საბაზისო ცოდნა;<br>✓გაცნობიერებული აქვს სოციალური, პოლიტიკური სფეროს ძირითადი პარადიგმები;<br>✓გაცნობიერებული აქვს მედიის არსი, როგორც ბიზნესისა და სოციალური ინსტიტუტის, წარმოდგენა აქვს | ✓ გაცნობიერებული აქვს მედიისა და ჟურნალისტიკის ფუნქციები, მთავარი პრინციპები, თეორიები და კონცეფციები;<br>✓ აქვს მედიისა და ჟურნალისტიკის ძირითადი მიმართულებების საფუძვლების ცოდნა;<br>✓ იცნობს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, ადამიანის უფლებებისა და სხვა დემოკრატიული ღირებულებების პრინციპებს;<br>✓ გაცნობიერებული აქვს |

| | | |
|---|---|---|
| | საბაზრო სიტუაციაში მედიის ფუნქციონირებაზე;<br>✓გაცნობიერებული აქვს ინფორმაციის გავლენა აუდიტორიაზე; მედიის ზემოქმედების არსი. | ჟურნალისტური თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის შეხამების, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის დაცვის პრინციპები, პროფესიის ფსიქოლოგიური ნიუანსები;<br>✓ გააზრებული აქვს: საინფორმაციო საზოგადოების სპეციფიკა და ინფორმაციული გამოწვევები, მასმედიის როლი და დანიშნულება თანამედროვე საზოგადოების ფუნქციონირებაში, ახალი მედიის შესაძლებლობები;<br>✓ იცნობს როგორც საქართველოს, ასევე, სხვა ქვეყნების პროფესიული ქარტიების ძირითად პრინციპებს და რეალობაში მათი დაცვის პრაქტიკას;<br>✓ იცის როგორ იხელმძღვანელოს მედიის სამართლებრივი და ეთიკური კრიტერიუმებით; როგორ გამოიყენოს მედიის სამართლებრივი და ეთიკური ნორმები ჟურნალისტის სოციალური ფუნქციის ადეკვატური შესრულებისთვის;<br>✓ აქვს ჟურნალისტური მეთოდებისა და შემოქმედებითი ხერხების საბაზისო ცოდნა;<br>✓ წარმოდგენა აქვს საქართველოს მედიასივრცეში სამართლებრივი და ეთიკური ნორმებისა და სტანდარტების დაცვის რეალურ მდგომარეობაზე. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების** | ✓აქვს თანამედროვე მედიასივრცეში ადაპტირების უნარი;<br>✓შეუძლია | ✓ შეუძლია ჟურნალისტური მეთოდების გამოყენებით ინფორმაციისა და ახალი ამბების მოძიება-დახარისხება და |

| | | |
|---|---|---|
| **უნარი** | ინტერნეტ-მედიის სივრცეში ორიენტირება, მასალის მოპოვება, დამუშავება და "სასაქონლო პროდუქციად" ქცევა;<br>✓აქვს საკუთარი სამუშაოს ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი;<br>✓შეუძლია ინფორმაციის შემოწმება-გადამოწმება და ინფორმაციის დაბალანსება;<br>✓შემზადებულია დროის დეფიციტისა და ექსტრემალური პირობების ვითარებაში მუშაობისთვის. | მომზადება;<br>✓ შეუძლია წყაროების, საცნობარო გამოცემების, მონაცემთა ბაზების, ინტერნეტისა და ახალი ამბების სააგენტოების გამოყენება ინფორმაციის მოძიებისათვის;<br>✓ ათვისებული აქვს წერის საწყისი ტექნიკა;<br>✓ აქვს მასალის სტრუქტურული/დრამატურგიული აგებისა და ჟანრული გადაწყვეტის უნარი;<br>✓ წარმოდგენა აქვს ჰიპერტექსტის აგებაზე მულტიმედიური საშუალებების გამოყენებით;<br>✓ აქვს ინფორმაციის შერჩევის, დახარისხებისა და სისტემატიზების, პერსონალური საინფორმაციო ბანკის შექმნის უნარ-ჩვევა;<br>✓ გააზრებული აქვს ინფორმაციის გადამოწმება/ვერიფიცირების, ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნის მნიშვნელობა და აუცილებლობა;<br>✓ შეუძლია მრავალფეროვნების გაშუქების პრინციპების გათვალისწინება ჟურნალისტურ პრაქტიკაში;<br>✓ აქვს საწყისი ცოდნა ექსტრემალურ და კრიზისულ სიტუაციებში ადეკვატური მოქმედებისათვის.<br>✓ შეუძლია მუშაობა სამაუწყებლო (რადიო-ტელეკომპანიები), ბეჭდურ და ონლაინ მედიასაშუალებებში, საინფორმაციო სააგენტოებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს კომპანიების პრესსამსახურებში; |

| | | |
|---|---|---|
| | | საჯარო სამსახურის სტრუქტურებში; სათანადო სტაჟირების გავლის საფუძველზე შეუძლია თანამშრომლობა კონსალტინგურ და სარეკლამო კომპანიებში. |
| **დასკვნის უნარი** | ✓პერსონალურ დონეზე – საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების გარკვევა; ✓პიროვნული და პროფესიული შეცდომების დანახვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნების გაკეთება; საზოგადოებაში მიმდინარე ტენდენციების საქმის კურსში ყოფნა და თვალთახედვის შემუშავება ძირითადი საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული ტენდენციების შესაბამისად. | ✓ შეუძლია ინფორმაციის დიდი ნაკადიდან აქტუალური და საჭირო ინფორმაციის “ამოფილტვრა”, სისტემაში მოყვანა, გაანალიზება და გამოყენება საჭირო მიმართულებით; ✓ გამომუშავებული აქვს კრიტიკული და კრეატიული აზროვნება; შეუძლია დამაჯერებლად განავითაროს და დაასაბუთოს თავისი თვალსაზრისი; ✓ შეუძლია ადეკვატურად აღიქვას და გააანალიზოს საზოგადოებრივი, სოციალური თუ შემოქმედებითი პროცესები. |
| **კომუნიკაციის უნარი** | ✓ახალ გარემოში ადაპტირების უნარი; ✓გუნდური მუშაობის, სარედაქციო კოლექტივში მუშაობის უნარი; ✓კოლეგიალური ურთიერთობა და | ✓ საინფორმაციო საზოგადოების საკომუნიკაციო სივრცის ცოდნა საშუალებას აძლევს სათანადოდ გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები; ✓ შეუძლია გამოიყენოს ინტერნეტის შესაძლებლობები კომუნიკაციის სხვადასხვა დონეებზე; |

| | | |
|---|---|---|
| | ინტეგრირებული თანამშრომლობა მომიჯნავე პროფესიის ადამიანებთან;<br>✓კოლეგების საიმედო პარტნიორობა;<br>✓ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის სათანადო ფლობა და ადეკვატური გამოყენება საქმიანობის პროცესში;<br>✓უცხო ენის სათანადო ფლობა და გამოყენება მუშაობისას. | ✓ შეუძლია მომგებიანად გამოიყენოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლების ცოდნა სამსახურეობრივ, პერსონალურ თუ საჯარო ურთიერთობებში;<br>✓ შეუძლია სათანადო კომუნიკაციის დამყარება რესპონდენტებთან;<br>✓ შეუძლია პროფესიული კომუნიკაცია გუნდში კრიზისული და ექსტრემალური სიტუაციების პირობებში;<br>გამომუშავებული აქვს პრეზენტაციისა და თვითპრეზენტაციის უნარი. |
| **სწავლის უნარი** | ✓აქვს მიღებული ცოდნის გამოყენების, გაღრმავების, პერმანენტული შევსების უნარი;<br>✓აქვს სწრაფვა პროფესიული ზრდისკენ;<br>✓ჟურნალისტურ გარემოში არსებული გამოცდილების ათვისების უნარი;<br>სათანადო მზაობა პროფესიონალიზმის გამომუშავებისა და სრულყოფისთვის. | ✓ აქვს სათანადო უნარ–ჩვევები ჟურნალისტის პროფესიისთვის აუცილებელი კრეატიული აზროვნების განვითარებისთვის.<br>✓ პროგრამის სათანადოდ ათვისება სტუდენტებს შეუქმნის მოტივაციას ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავებისა და სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის, შესაბამისი არჩევანის მიხედვით. |
| **ღირებულებები** | ✓გაცნობიერებული აქვს ის ღირებულებები, რაც დევს პროფესიული | ✓ აცნობიერებს ზოგადად მედიისა და ჟურნალისტიკის როლს და მნიშვნელობას და, კონკრეტულად, საკუთარ |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | არჩევანის საფუძველში;<br>✓გააზრებული აქვს ზოგადად მედიაგარემოსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს პროფესიული და ეთიკური ღირებულებების არსი;<br>✓ესმის საზოგადოებისა და თავისი აუდიტორიის ერთგულების აუცილებლობა. | პასუხისმგებლობას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრების პროცესში;<br>✓ აცნობიერებს ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე;<br>✓ იცის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის მნიშვნელობა სოციუმის პრობლემებში წვდომისა და მათი გაშუქების პროცესში; აცნობიერებს ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტის როლს საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური წარმართვისთვის. |
| **დასაქმების სფერო** | ჟურნალისტიკის ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს სამაუწყებლო (რადიო-ტელეკომპანიები), ბეჭდურ და ონლაინ მედიაში, საინფორმაციო სააგენტოებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს კომპანიების პრესსამსახურებში; საჯარო სამსახურის სტრუქტურებში; აგრეთვე,Pკონსალტინგურ და სარეკლამო კომპანიებში და სხვ.<br><br>ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს, სათანადო მოტივაციისა და შესაძლებლობის შემთხვევაში, შეუძლია სწავლა გააგრძელოს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ან საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სამაგისტრო პროგრამებზე. | | |